ნესტან სულავა

ზოგიერთი ქრისტიანული ცნება „ვეფხისტყაოსანსა“ და ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში

1. „დასნა“

სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემას ყველა ძველი რელიგია ეხებოდა და წყვეტდა თავისებურად, თუმცა რიგ შემთხვევაში ბევრი საერთოც შეინიშნება, რაც, რასაკვირველია, ცალკე კვლევის საგანია. მონოთეისტურ რელიგიათა შორის ამავე საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ქრისტიანული თეოლოგიაც, რომლის წიაღში იმთავითვე შემუშავდა მწყობრი კონცეფცია. მაგალითად, როგორც ცნობილია, ქრისტიანულმა თეოლოგიამ შეიმუშავა თეორია „არა-არსისაგან არსად მოყვანებისა“, ე. ი. წარმოიშვა მოძღვრება, რომელიც გვასწავლიდა, რომ ღმერთმა არაფრისაგან შექმნა ყველაფერი, მათ შორის სიცოცხლეც. ძველ აღთქმაში ადამიანის გაჩენის შესახებ ვკითხულობთ: „თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდა... და შექმნა ღმერთმან კაცი, მტუერისა მიმღებელმან ქუეყანისაგან და შთაბერა პირსა მისსა სული სიცოცხლისა და იქმნა კაცი სულად ცხოველად“[1]. შუა საუკუნეების თეოლოგიაში ეს აზრი, გამოთქმული მოსე წინასწარმეტყველის მიერ, დოგმად გამოცხადდა. სამყაროსა და ადამიანის შექმნის კრეაციონისტულ შეხედულებასთან ერთად ქრისტიანულმა თეოლოგიამ შეითვისა აგრეთვე ანტიკური ბერძნული ფილოსოფიიდან მოძღვრება ოთხი ელემენტის, კავშირის, ნივთის (მიწა, წყალი, ცეცხლი და ჰაერი) შესახებ. ნემესიოს ემესელის თხზულების „ბუნებისათვის კაცისა“ პეტრიწისეულ თარგმანში აღ-

[1] ბიბლია, I, შესაქმე, ტფილისი, 1884, გვ. 3, 4.

ნიშნული საკითხის შესახებ ვკითხულობთ: „სხეულთაგან არს კაცი, ხოლო ყოველი სხეული ოთხთა ასოთაგან შემტკიცებულა... არიან უკუე ასონი ოთხ: ქუეყანა, წყალი, აირი, ცეცხლი... რამეთუ თჳთოეულსა ასოსა მებრ დაუღლვით ორი რომელობაჲ აქუს გუარმქმნელი მისი: არს უკუე ქუეყანაჲ ჴმელ და გრილ, ხოლო წყალი გრილ და ნოტიო, ხოლო აირი — ნოტიო და მჴურვალე მისისაებრ ბუნებისა, არამედ ცეცხლი მჴურვალე და ჴმელ"[2].

ამის მიხედვით ქრისტიანულ თეოლოგიურ-ფილოსოფიურ მწერლობაში შემუშავდა მოძღვრება სიცოცხლისა და სიკვდილის შესახებ, რომლის მიხედვით ადამიანის სხეული შედგება ოთხი ელემენტისაგან (ასოსაგან) და მათი შეზავება ჰქმნის სიცოცხლეს. სულის ჩადგმისთანავე, ხოლო აჲ ელემენტთა დაშლა, ანუ, რუსთაველის სიტყვით, „დახსნა", რასაც აუცილებლად მოსდევს სულისა და ხორცის გაყრაც, იწვევს სიკვდილს.

როგორც ცნობილია, ნეოპლატონიზმი სიკვდილის სიდიადეს ქადაგებდა, სიკვდილს ისახავდა განთავისუფლებად და არსებობის უმაღლეს მიზნად. ამიტომაც უწოდებენ ხოლმე ნეოპლატონიზმს „სიკვდილის ფილოსოფიას". სასულიერო პოეზია, განსხვავებით ნეოპლატონური მოძღვრებისაგან, არ ქადაგებს სიკვდილის სიდიადეს, ამქვეყნიური ცხოვრება მას მიაჩნია საიქიო, იმქვეყნიური ცხოვრებისათვის მზადების წინა საფეხურად, რომლის გარეშე შეუძლებელია კაცთა მოდგმის ნორმალური განვითარება. ამასთან ერთად, სასულიერო პოეზიის ზოგიერთ ნიმუშში უკვე მჟღავნდება უსაზღვრო სევდა სოფელთან, საწუთროსთან მოსალოდნელი განშორების გამო.

ნეოპლატონიზმი ამქვეყნიურ ცხოვრებას არარაობად მიიჩნევს და მასთან განშორებას ლხინად, უდიდეს ბედნიერებად თვლის. ნეოპლატონიზმის ერთ-ერთი უდიდესი და უკანასკნელი წარმომადგენელი პროკლე დიადოხოსი თავის დიალექტიკაში იძლევა ძირითადად სიკვდილის ჰიმნს და არა სიცოცხლისას. სიკვდილი მიაჩნდა არსებობის უმაღლეს მიზნად და სულის განთავისუფლებად ტანის, ხორცის ტყვეობისაგან.

ცნობილია, რომ სასულიერო მწერლობა ხელმძღვანელობს ბიბლიური მოძღვრებით სოფლის შესახებ: „სიყვარული სოფლისაჲ მტერობა არს ღმრთისაჲ". მაგრამ ეს ბიბლიური დებულება ხში-

---

2 ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, ს. გორგაძის გამოც., ტფილისი, 1914, გვ. 13, 61—62.

რად არის უარყოფილი სასულიერო მწერლობის ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორიცაა აგიოგრაფია და სასულიერო პოეზია. ხშირად აგიოგრაფიული თხზულებისა თუ ჰიმნოგრაფიული ნაწარმოების პერსონაჟები სწორედ „სოფლის სიყვარულს“ ამჟღავნებენ და უდიდესი შინაგანი განცდითა და სინანულით თმობენ სოფლის მოთხოვნილებებს. ამქვეყნიური ცხოვრების უარყოფა და სოფლისაგან განდგომა, მასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური განცდა გასაოცარი სიზუსტითა და სიმკვეთრით შენიშნა გიორგი მერჩულემ, როდესაც ზენონის მიერ მამისეული ქონების დატოვებისა და მონაზვნად აღკვეთის ეპიზოდს აღწერს: „რამეთუ მონაგებთა დატევებაჲ სისხლთა დათხევასა ემსგავსებისო“, — ამბობს ცხოვრების ღრმად მცოდნე მერჩულე. ამ შედარებიდან აშკარად ჩანს, თუ რა მტკიცედ არის დაკავშირებული და მიჯაჭვული ადამიანი სოფელს და რა მძიმეა მისგან განდგომა და განშორება.

მნიშვნელოვან ადგილს იჭერს სოფლის წარმავლობისა და სიკვდილის გარდუვალობის იდეა ძველ ქართულ სასულიერო პოეზიასა და „ვეფხისტყაოსანში“. ძველი ქართული სასულიერო პოეზია აღიარებს სოფლის, ამქვეყნიურობის წარმავლობასა და საიქიო ცხოვრების უკვდავებას, მუდმივობას. უძველესი პოეტური ქმნილება „ეკლესიასტე“ ამბობს: „ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს და ქუეყანაჲ უკუნისამდე ჰგიეს. და აღმოვალს მზე და დაჰვალს მზე და ადგილსა თჳსსა მივალს. აღმოვალს იგი და შუნვე მივალს სამხრით და მოჰვლის ჩრდილოჲთ“[3]. აქ გამოთქმულ აზრს ადამიანთა, საერთოდ, ცოცხალ არსებათა მოკვდავობისა და ქვეყნის უკუნისამდე, დაუსრულებლად არსებობის შესახებ ქართველი ჰიმნოგრაფები ხშირად იმეორებენ თავიანთ თხზულებებში. ეზრას საგალობელში წმიდა ეფთვმისადმი ვკითხულობთ: „გძულდა ფრიად საწუთროჲ ესე წარმავალი და გიყუარდა საუკუნოჲ, სადა იგი აწ მკჳდრ ხარ და სუფევ უკუნისამდე. დაუტევე ნებაჲ ჴორცთაჲ და შეუდეგ ღმერთსა, ეფთჳმი, და მიემთხჳე საღმრთოთა მათ კეთილთა ჩუენგან მოუკლებელთა“[4]. ეზრას შეხედულების თანახმად, საწუთრო, ეს ქვეყანა, ადამიანთა ცხოვრება წარმავალია, დროებითია, რომელიც წმიდა ეფთვმის სძულდა, სძულდა იგი სწორედ თავისი წარმავლობისა და ცვალებადობის გამო; ხოლო უყვარდა

---

[3] კ. კეკელიძე, განმარტებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზჳმრნელ მიტროპოლიტისაჲ, ტფილისი, 1920, გვ. 180.

[4] მიქელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიული კრებული, S—425, გვ. 225 (R—113).

საუკუნო ცხოვრება, ე. ი. საიქიო, უყვარდა იგი თავისი მუდმივობის, უკვდავობის გამო. ადამიანი ხომ წუთისოფლის სტუმარია, დროებით მოვლენილი დედამიწაზე ღმერთის მიერ პირველცოდვის შედეგად, ხოლო რომ დაიმკვიდროს საუკუნო სასუფეველი იმქვეყნად, ამიტომ უნდა შეწიროს მას ყოველივე ამქვეყნიური, უნდა „დაუტეოს ნებაჲ ჯორცთაჲ და შეუდგეს ღმერთსა“, რითაც იგი მოინანიებს თავის ცოდვებს.

აბოს ერთ-ერთ საგალობელში, რომლის ხელნაწერი ვაშინგტონის ერთ-ერთ ბიბლიოთეკაშია დაცული, ვკითხულობთ: „რამეთუ წარმავალ არს შიში ტანჯვათა წუთ-ჟამისათაჲ, ხოლო მერმე დიდებაჲ, დაულევნელ არს ღირსთა მისთათჳს“[5]. ამქვეყნიური ტანჯვა საუკუნო ცხოვრების წინამძღვრად არის მიჩნეული და წუთისოფელთან მოსალოდნელი განშორებით გამოწვეული შიში წარმავალია, რადგან ღირსეულთ დიდება მოელით საიქიოში ამქვეყნად მიღებული ტანჯვა-წამების სანაცვლოდ, ღმერთი სიკეთეს მიაგებს ასეთ ადამიანებს და მათ სასუფეველში დაუმკვიდრებს ადგილს.

სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქრისტიანული საეკლესიო მსოფლმხედველობა ქადაგებს ამქვეყნიური ცხოვრების არარაობასა და სიძულვილს, ამის გამო ადამიანის დანიშნულებას საიქიო ცხოვრებისათვის მზადება წარმოადგენს. საასულიერო პოეზია, როგორც აღვნიშნეთ და ვნახეთ ეზრას საგალობლის მაგალითზე, აღიარებს ამქვეყნიური ცხოვრების არარაობას და სიძულვილს, ამავე დროს, განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ მომენტს, რომ ეფთვმის სძულდა „საწუთროჲ წარმავალი“ და უყვარდა „საუკუნოჲ“, აქ სოფლის წარმავლობისა და იმქვეყნიურობის მარადიულობის იდეაა გამოკვეთილი და წარმოჩენილი. ქართული სასულიერო პოეზიის ორიგინალურ თუ ნათარგმნ ნაწარმოებებში არც თუ ისე იშვიათად მოისმის მსოფლიო კაეშნის, ამაოების, საწუთროს დაუდგრომლობისა და წარმავლობის იდეები. სიკვდილის გარდუვალობის აღიარება, რაც უთუოდ ბიბლიიდან და მისგან მომდინარე თხზულებებიდან იღებს სათავეს (მაგ., ეკლესიასტე).

---

[5] კ. კეკელიძე, უცნობი რედაქცია ქართული ჰიმნოგრაფიული თუენისა, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბილისი, 1962, გვ. 45.

სოფლის ამაოებაზე მიუთითებს იოანე მინჩხის საგალობლები. „ამაო არს ცხორებაჲ ჩუენი. რაჲმე შევწიროთ შენდა, ქრისტე, ანუ ვითარ გადიდებთ შენ, რ~ გარდაემატნეს სახიერებანი შენნი ჩუენდა მომართ შენთა მორწმუნეთა, უხვად გუიღუწი სოფელსა შინა და კუალად მომცემ უხრწნელსა ცხორებასა“[6]. ამქვეყნიური მოღვაწეობა საწინდარი უნდა გახდეს საუკუნო ცხოვრებისა, რათა „მუნ“ სასუფეველი დაუმკვიდროს ქრისტე ღმერთმა ღვთისმსახურს. არაფერი ისე არ დაფასდება ღმერთის მიერ, როგორც მზადება საიქიოსათვის, ადამიანმა მხოლოდ საუკუნო ცხოვრებისათვის უნდა იზრუნოს, რადგან „წარმავალ არს სიმდიდრე ამაოჲსა ამის ცხორებისაჲ და დაუდგრომელ არს ჟამი წელთა ჩუენთაჲ“[7]. ადამიანი ცდილობს „ჴელითა გლახაკისაჲთა“ სასუფეველში მოხვედრას. ყოველმა ცოცხალმა არსებამ, ყოველმა ნორმალურად მოაზროვნე ადამიანმა უნდა შეიგნოს ამ სოფლის წარმავლობა. წმიდა გიორგისადმი მიძღვნილ საგალობელში იოანე მინჩხი ამბობს: „განიმსტურენ სიბრძნით გზანი საუკუნოჲსა ცხორებისანი და გულისჯმა ჰყავ საზღუარი ცუდისა ამისა საწუთროჲსაჲ, რომელი ყოვლით კერძო ამაო არს. და სიხარულით შეეყავ წმიდათა · გზასა, გიორგი, და განიშორე გზათა სიცრუვისათა“[8]. საწუთრო, წუთისოფელი მაცდურია, რადგან ადამიანთა გონებას აბნელებს „შვებითა და მთრვალობითა“, შინაგან სულიერ სახედველს, თვალს უბრმავებს, ხორციელი ვნებები აცდუნებს, რაც შემდეგში ხდება დასაბამი და მიზეზი მისი საუკუნო სასჯელისა. ვინც ამქვეყნიურ ცხოვრებაში მხოლოდ ქველმოქმედი იქნება, ის დაიმკვიდრებს სასუფეველში ღირსეულ ადგილს. საერთოდ, მინჩხი ურჩევს ყველას, რომ „ნუმცა მივიქეცით ზრუნვასა საწუთროჲსა საქმეთასა, რაჲთა არაჲ დავჰჯსნდეთ ჩუენ სულიერსა მას ზრუნვასა სულთა ჩუენთასა, რამეთუ ვითარცა სიზმარი ამაო არს ყოველივე ზრუნვაჲ ჯორცთაჲ“[9]. ადამიანმა წინასწარ არ იცის მისი აღსრულების ჟამი, თუ ეს ეცოდინებოდა, მაშინ ყოველ წამს არ იქნება მის მოლოდინში და არ შეშინდება. სწორედ ეს შეუცნობლობა სხეულისა და სულის განშორების ჟამისა ბადებს შიშს და ამიტომ ლოცვით უნდა განიქარვოს იგი.

---

6 Sin —75, 146b.
7 Sin —5, V —83.
8 Sin —2, R —4.
9 Sin —5, V —119.

ამქვეყნიური ცხოვრებისათვის ზრუნვა ამაოა, წუთისოფელი უნდობი და გაუტანელია. გასაოცარი პოეტური გრძნობითა და განცდით უპირისპირებს საწუთროსა და საიქიოს იოანე მინჩხი: „ამაო არს ცხორებაჲ ჩუენი, ვინაჲთგან დაჰკსნის მას სიკუდილი, ცუდად ხატად ვალნ კაცი, ამაოდ შურებინ და იუნჯებნ, და არა უწყინ, ვისდა იყოს იგი. ჯერ-არს ჩუენდა გულისკმის ყოფაჲ და ზრუნვაჲ ცხორებისა საუკუნოჲსა. მეკიცხევს ჩუენ საწუთროჲ ესე, რომელთა ვერ გულისკმა ვყოთ დაუდგრომლობაჲ მისი, და მაცთუნებს ჩუენ მარადის ღონით მით მანქანებითა მისთაჲთა და ამაოსა მაჯერებს, ვითარცა ღამე სიზმარი მძინარესა“[10]. ამ მოხდენილი შედარებით ნათლად არის გამოხატული სინანული ადამიანის ამაო შრომის გამო, რადგან არც იცის, რისთვის ან ვისთვის წვალობს. სიკვდილი ათანასწორებს ყველას, ამიტომ სჯობს საუკუნო ცხოვრებაზე ზრუნვა; ყოველმა ადამიანმა უნდა შეიგნოს, საღად განსაჯოს ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობა და სიკვდილის გარდუვალობა. ყველაფერი გაქრება, გაქრება ჩვენი სიცოცხლეც, ვითარცა სიზმარი და ყოველივე მიწად იქცევა. ეს აზრია გამოთქმული იოანე მინჩხის საგალობელში, რომელიც ღვთიშობლისადმია მიძღვნილი: „გულისკმა ვყოთ ამაოებაჲ ჩუენნი, რაჲთა ყოველნი მოკუდავ, მიწა ვართ, და ჟამნი ჩუენნი ვითარცა სიზმარნი, და არაჲ ვერჩდეთ ჩუენ წუთსა ამას ცხორებისა, რაჲთა ვითარცა აჩრდილი წარვალს და ვითარცა მტუერი ქუეყანისაჲ განიბნევის“[11]. ქართული სასულიერო პოეზია ძირითადად ამქვეყნის წარმავლობაზე, ამაოებაზე, სიკვდილის გარდუვალობაზე მსჯელობს და წუთისოფელს იმქვეყნიური ცხოვრების სამზადისად მიიჩნევს. მაგრამ მასში ნათლად იგრძნობა და აშკარად გამოსჭვივის სინანული და გულისტკივილი სოფლის დაუდგრომლობის გამო.

ბიზანტიური ქრისტიანული სასულიერო პოეზია იძლევა მეტად შინაარსიან ჰიმნებსა თუ საგალობლებს, რომლებშიც უდიდესი გულისტკივილით არის აღწერილი სიცოცხლესთან განშორება და საიქიოში გამგზავრება. მერვე საუკუნის უდიდესი ჰიმნოგრაფის იოანე დამასკელის გიორგი ათონელისეულ ქრისტეს შობის „დასდებელნში“ მიცვალებულსა ზედა გადმოცემულია ისეთი შემზარავი სურათი სიკვდილისა და მისი საშინელებისა, რომლის მსგავსი იშვიათად თუ მოიპოვება მსოფლიო პოეზიაში. მთელ სა-

---

10 Sin—75, 114a—b.

11 Sin—75, 145 a—b.

გალობელში გამოხატულია მწარე ხვედრი „მიწისაგან წარმოშობილი“ კაცისა. ყოველივე საქმეს, ნაღვაწს, ნაშრომს სიკვდილი გააქრობს.

„რომელი შუება სოფლისა დაადგრების თჳნიერ მწუხარებისა,
რომელი დიდება ჰგიეს ქუეყანასა ზედა შეუცვალებელად?
ყოველივე აჩრდილისა უუძლურეს არს,
ყოველივე სიზმრისა უმაცთურეს არს;
ერთი წამი-და ამას ყოველსა სიკუდილი უჩინო-ჰყოფს“[12].

ადამიანის სული ხორცთაგან განსვლის, განშორების წინ მარტოა, მისი შემწყალე არავინაა ძე-ხორციელთა და უხორცოთა შორის. ამაოდ ეევედრება ადამიანი ანგელოზებს, ღმერთს, „არავინ არს შემწე მისა“. ამიტომ წუთისოფლის წარმავლობა და დაუდგრომლობა უნდა შევიგნოთ. იოანე დამასკელი ჩვენს ცხოვრებას წუთს უწოდებს. ყველაფერი — ოქრო, ვერცხლი, მონათა სიმრავლე და სხვა — ამაოა, ყველაფერი დროებით მიენიჭა ადამიანს და ყოველივე გაქრება, ვითარცა სიზმარი.

„ყოველივე ამაო არს კაცობრივი,
რაოდენიცა რაი ჰგიეს შემდგომად სიკუდილისა;
არა დაადგრების სიმდიდრე,
არცა თანაწარყვების დიდება;
რამეთუ მოიწია სიკუდილი
და ესე ყოველი მყის იავარყო“[13].

ყოველგვარი სიმდიდრე მტვრად იქცევა, ეს ცხოვრებაც სიზმარია და აჩრდილი. რა არის ადამიანი? დამასკელი პასუხობს: „მე ვარ მიწა და ნაცარი“. ადამიანი მიწად იქცევა, სიკვდილს ვერსად გაექცევა, ვინც არ უნდა იყოს იგი და როგორიც არ უნდა იყოს, მეფე იქნება თუ მხედარი, მდიდარი ან გლახაკი, მართალი ან ცოდვილი. საბოლოოდ ყველა ერთი გზისკენ მიდის, ეს გზაა სიკვდილისა, რაც ყველა ადამიანში მეტნაკლებად იწვევს გულისტკივილის საშინელ გრძნობებს.

სიკვდილის სურათით აღშფოთებული ავტორის მწარე გრძნობები გამოსავალს პოულობენ „სიტკბოსა შინა და ნათელსა კაცთმოყუარე ქრისტეს პირისასა“, რომელსაც ის სთხოვს მიცვალებუ-

---

[12] კ. კეკელიძე, „გოდების“ ჟანრი და „გლოვის წესი“ ძველს ქართულ ლიტერატურაში, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1956, გვ. 201.

[13] კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., ეტიუდები... I, გვ. 202.

ლის „განსვენებას“. კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ ადამიანის გულში ქრისტეს წამებაც კი საშინელ გრძნობებს აღძრავს, თვით ჯვარცმული ქრისტეც გულის სიღრმიდან ამოხეთქილი კვნესით ეკითხება ებრაელებს, რისთვის სჯიან მას, ნუთუ იმ ქველმოქმედებისათვის, რასაც თავისი ხანმოკლე სიცოცხლე მიუძღვნა. „რასა მომაგებთ მე ბოროტსა კეთილისა წილ?“ ღმერთ-კაცს გული წყდება, რომ „სჯულის მომცემელს“, „მწყალობელ მეუფეს“, „ქველ-მოქმედს“, „მაცხოვარს“ სჯიან და ჯვარს აცვამენ, „ნაცვლად კურნებათა მომწყლავთ მე, ნაცვლად ცხოვრებისა მომკლავთ მე“, ვითარცა უსჯულოსა და დასასჯელსა[14]. ქრისტეს საგალობელშიც იგრძნობა ამქვეყნიურ ცხოვრებასთან განშორების სიმძიმე, სულისა და ხორცის გაყრის შიში მასაც აქვს. მას სინანულის გრძნობა იპყრობს სიკვდილით დასჯის წინ, თუმცა იცის, რომ სამი დღის შემდეგ აღსდგება.

მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიულ კრებულში მოთავსებულ აღდგომის საგალობელში მოისმის მსოფლიო სევდის მოტივი და სიკვდილის გარდუვალობის იდეა, აქ მოცემულია არსებობის ამაოების შეცნობით გამოწვეული განცდა, როგორც პოეტური სევდის მარადიული წყარო: „წარმავალ არს ხატი ამის სოფლისაჲ, ვითარცა თქუა პირველ მოციქულმან, რაჟამს შუებაჲ საწუთროჲსაჲ ყოვლითურთ დაუდგრომ არს, და განქარდების დიდებაჲ, და მთავრობაჲ მიეცემის დავიწყებად, მძლავრთა საშინელთა მძლავარებაჲ მოაკლდების და განიხრწნების საფლავსა შინა, ვინაჲთგან ჯერ არს ურჩებისათჳს მიქცევად მიწაჲ მიწადვე“[15]. როგორც ამ ნაწყვეტიდან ჩანს, საეკლესიო წოდების წარმომადგენელიც ერთგვარი გულისტკივილითა და სინანულით აღიარებს სოფლის წარმავლობასა და დაუდგრომლობას. ამავე აზრის დადასტურებას ვაწყდებით იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბის“ ერთ-ერთ ორიგინალურ იამბიკოში, რომელიც ასე იკითხება:

„არარაჲ არს სოფელსა შინა მტკიცე.
ყოველივე მსწრაფლ წარმავალ არს სრულიად:
არცა სიმდიდრე, არცა სიგლახაკე და
არცა დიდებაᲘ — აჩრდილი და სიზმარი.
მოიძულე შენ ყოველი, მონაზონო!“[16]

---

14 იქვე, გვ. 203—204.

15 S —425, გვ. 405 (R —203), სტრ. 15—18.

16 ი. პ ე ტ რ ი წ ი, სათნოებათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბილისი, 1968, გვ. 173.

ყოველივე ამქვეყნიური — სიმდიდრეც, დიდებაც, სიგლახაკეც — აჩრდილი და სიზმარია, ამიტომ ღვთისმსახურს იოანე პეტრიწი ურჩევს, რომ ესენი შეიძულოს. ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ამქვეყნიური ცხოვრება ყოველმხრივ არარაობას წარმოადგენდეს. სვედიანი განწყობა ღვთისმეტყველთ იმიტომ ეუფლებათ, რომ გრძნობენ სოფლის წარმავლობას. პეტრიწიც სწორედ სოფლის უმტკიცობას უსვამს ხაზს. იგი აღიარებს ყოველივეს „მსწრაფლ წარმავლობას", ადამიანის არსებობის ამაოებას. ეზრა ათონელი იოანე ათონელისადმი მიძღვნილ საგალობელში აღნიშნავს: „დიდებაჲ მსოფლიოჲ განხრწნადი დაუტევე, იწროსა მას გზასა მავალ-ჰყენ ფერჯნი შენნი, მამაო იოანე. ხოლო უცხოებაჲ გექმნა შენდა წინამძღურად გზისა მის ჭეშმარიტისა, და სავანედ შუენიერად მიიწიე მაღლისა სიმდაბლისა და საშუებელად ჰპოე მორჩილებაჲ უზაკუველი, წმიდაო, რომელთა მიერ აწ აღიწიე, ღირსო, სრულსა სისრულესა ზეცისა სუფევისასა, მომიჯსენენ ჩუენ მადიდებელნი შენნი!"[17] ბუნებაში ყველაფერი იცვლება განუწყვეტლივ, ერთის სიკვდილი და მეორის დაბადება ხდება მუდმივი განახლების საფუძველი. მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიულ კრებულში მუდმივი ცვალებადობისა და განახლების შესახებ წერია: „განსაკჳრველი ხილვაჲ იხილვა დღეს იორდანეს, დამბადებელი ეტყოდა დაბადებულსა თჳსსა, ვითარმედ ჯერ არს ჩემდა აწ ნათლისღებაჲ ჯორცითა რაჲთა სოფლისა მნებავს განწმედაჲ და მორწმუნეთა შემოსად უხრწნელებაჲ, რაჲთა კუალად განვაახლო, რომელი ხატად ჩემდა დავჰბადე პირველ და გალობით მადიდებენ"[18]. წმიდა გიორგისადმი მიძღვნილ თეოფანეს საგალობელში, რომელიც გიორგი ათონელს უთარგმნია და შეუტანია „თთუენში" „ღმრთიშობლისანის" კილოზე, იესო ქრისტეს ამქვეყნად მოვლინებით განახლდა ზოგადი ადამიანური ბუნება: „არსებითი ცხორებაჲ გჳშევ, ქალწულო, რომელმან-იგი წყალობითა თჳსითა სახიერებით აცხოვნა ხატი თჳსი, ურჩებითა განხრწნილი, და განაახლა კაცობრივი ბუნებაჲ დაძველებული". ბუნებაში ყველაფრის ცვლა და განახლება მიმდინარეობს. ადამიანებმა გაჩენის დღიდან უამრავი ცოდვა ჩაიდინეს, ამიტომ მათ მოსანანიებლად მოავლინა ღმერთმა ქრისტე, მისმა კაცებრივმა (ადამიანურმა) ბუნებამ უნდა განაახლოს ადამის მოდგმის ბუნება, რადგან „მსგავსებისაგან დაკლებულმა" ბოროტი გაამრავლა.

---

17 ჩვენი საუნჯე, I, თბილისი, 1960, გვ. 501.

18 S —425, გვ. 190 (V —95), სტრ. 35—38.

სასულიერო პოეზიაში შემუშავებული აზრი სოფლის წარმავლობასა, არამდგრადობასა და უმტკიცობაზე რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“ არის ერთგვარად გაზიარებული შემდეგი აფორიზმით:

„რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს, დაამჭნაროსა,
იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“
(35, 2—3)[19].

რუსთაველის ამ სიტყვებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი შერიგებულია ამაოების, ცხოვრების წარმავლობა-ცვალებადობის იმ კანონზომიერებას, რაშიც ის არსებობის ჰარმონიას ხედავს. ამიტომაც არის, რომ რუსთაველი ცხოვრებას უიმედოს არ ხდის. მის გმირებში სევდა და მისი გამომწვევი მიზეზები ვერ სძლევენ ამქვეყნიურ ყოფნაში მშვენიერებისა და სიკეთის შეგრძნებას. ყოველივე იბადება, იზრდება, კვდება. ცალკეულ მოვლენათა გარდამავლობა ბუნების არსებობის აუცილებელი და ურყევი საფუძველია. რუსთაველის აზრით, როგორც ვხედავთ, აღმოცენების პირობაა და სინამდვილის განახლებისა და მარადიულობის ძალას წარმოადგენს სიცოცხლისა და სიკვდილის ურთიერთცვალება.

რუსთაველის გმირებს შეგნებული აქვთ სიკვდილის გარდუვალობა. ძველი ქართული სასულიერო პოეზია აქაც შეიძლება პოეტის პირველწყაროდ ჩაითვალოს. იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბე“ გვაუწყებს:

„სხუათა ენებათა თჳსი წინა-განმწყობი
ყოველთავე აქუს და იკურნებიანცა,
ხოლო სიკუდილი ყოვლით კერძ მოისწრაფის,
მოწყინება არს და დაკსნა ახოვნისა
ზენას სულისას სიმკნესა გამოცდილსა!“[20].

სიკვდილის მსახვრალი ხელი ყველას მისწვდება, იგი ყველასთვის გარდუვალია. ავთანდილი უცხო მოყმის საძებრად წასვლის წინ შერმადინს უბარებს, რომ როსტევან მეფეს არ გააგებინოს მისი წასვლა, მაგრამ თუ დაიღუპა და დათქმულ დროზე ვერ მოვიდა, მაშინ როსტევანს

„აცნობე ჩემი სიკვდილი, — იყავ მართ ვითა მთრვალია,
მიხვდა-თქო საქმე, რომელი ყოვლთათვის გარდუვალია“
(156, 2—3).

---

[19] „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი დამოწმებულია 1966 წლის საიუბილეო გამოცემის მიხედვით.

[20] ი. პ ე ტ რ ი წ ი, სათნოებათა კიბე, გვ. 199.

სიკვდილი ყოველდღე, ყოველ წამს მოსალოდნელია. ის, ვინც მას ელის ყოველთვის, გამოცდილად იწოდება პეტრიწთან, რადგან ეს ბუნების მოქმედებად ითვლება:

„მოელოდის ვინ სიკუდილსა სამარადოდ,
იგი სრულიად გამოცდილი არს ყოვლითურთ,
ნება გულისა დაუტეებიეს მას
და ყოველთაგან მსოფლიოთა ზესთა არს
გარეგან ქმნითა ბუნებისაჲთა ყოვლად"[21].

სიკვდილი ქურდია, „მპარავია", „სულ-მოკლე და არამადროებელია", იგი „წარიყვანს" სულს სხეულისაგან და მიჰყავს იქ, სადაც ღმერთია („სადა ერთი დამსჭუალულ არს»). ქართულმა სასულიერო პოეზიამ ისეთი მოტივები, თემები და იდეები წამოაყენა წინა პლანზე, რომელნიც შემდგომში საერო პოეზიამაც გაიმეორა, ოღონდ თავისებურად გადამუშავებული და ათვისებული. რუსთაველი სიკვდილის გარდუვალობაზე მთელ მონოლოგს ქმნის ავთანდილის ანდერძში როსტევან მეფისადმი:

„სცთების და სცთების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად;
მოვა შემყრელი ყოველთა ერთგან დღისა და ღამისად,
თუ ვერა გნახე ცოცხალმან, სიცოცხლე გქონდეს ჟამისად"
(792, 2—4).

აშკარად მოისმის ამ სიტყვებში სინანული და გულისტკივილი სოფელთან მოსალოდნელი განშორების გამო. რუსთაველის გმირებისათვის ამქვეყნიურ ცხოვრებასთან გაყრა მაინც აღსავსეა უდიდესი ტრაგიზმით.

ამქვეყნიურ ცხოვრებასთან გაყრით გამოწვეული სევდა და სინანული გამოხატულია ძველ სასულიერო პოეზიაში. ყოველივე ამსოფლიური არის წარმავალი, ამაო და ყოველივე მიდის იმქვეყნად, ღმერთმა მიწისაგან შექმნა ადამიანი და მიწადვე უნდა იქცეს იგი. „ეკლესიასტეში" ნათქვამია: „რაჲთა ყოველივე ამაო და ყოველივე ერთსა ადგილსა მივალს: ყოველივე შეიქმნა მიწისაგან და ყოველივე მიიქცევის მიწადვე და ვინ იცის სული ძეთა კაცთაჲ უკუეთუ აღვალს იგი ზჷ და სული პირუტყუთაჲ უკუეთუ შთავალს იგი ქუეყანად"[22]. ყოველგვარი გრძნობა, ყოველივე საქმიანობა ამაოდ ითვლება სასულიერო პოეზიაში, ამის გამოა სინანულის გრძნობაც გამოთქმული. ამიტომ ცოცხალი ადა-

---

21 ი. პ ე ტ რ ი წ ი, სათნოებათა კიბე, გვ. 185.

22 ეკლესიასტე, გვ. 196.

მიანი უნდა ეცადოს მხოლოდ სიკეთის ჩადენას, მხოლოდ ქველმოქმედებას, რადგან ზოგიერთი გარდაცვლილი თავისი საქმიანობის მიხედვით ცოცხალზე მეტად ფასდება. ამ აზრის გამოხატულებას წარმოადგენს „ეკლესიასტეში“ ნათქვამი სიტყვები: „და ვაქენ მკუდარნი, რომელნი მომწყდარ არიან, უფროჲს ცხოველთასა, რომელნი ცოცხალ არიან აქამომდე. და უმჯობჱს არს ამათ ორთავე, რომელი არღარა იყოს, რომელმან არა იხილა ყოვლითურთ ქმნული ესე ბოროტი, რომელნი იქმნებიან ცასა ქუეშე. და ვიხილე მე ყოველი შრომაჲ და ყოველი მჯნჱ ქმნულთაჲ. რ˜ შური კაცისაჲ მოყუსისაგან თ˜ისა ამაო და ჯდომა სულისა“[23]. ბიბლიური გადმოცემა ადამიანის შექმნის შესახებ მიწისაგან და მისი მიწადვე გადაქცევის შესახებ იოანე პეტრიწმა თავისებურად გადაამუშავა და „სათნოებათა კიბეში“ თქვა:

„რვათა მათგანი ერთი ესე არს ვნება
უმძიმესი და ძნელი და მოსაწყინო.
არაჲთ იძლევის უფროჲს ვიდრე სიკუდილის
კსენებითა და საფლავისა ჭურეტითა,
ვინაჲთგან მიწა მიწადვე მიმავალ არს“[24].

ყოვლის მომსრველი სიკვდილი ცელს ყველას უსვამს, ყველა მოკვდავია. სიცოცხლესთან განშორების უდიდესი სინანული იგრძნობა არსენ იყალთოელის მიერ დაწერილ დავით აღმაშენებლის ეპიტაფიაში:

„ვის ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღუართა იქით გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,
აწ ამათსა მოქმედსა ჴელნი გულზედან დამესხნეს“[25].

ადამიანის, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში — მეფის დავით აღმაშენებლის უდიდესი საქმიანობა, მისი ზრუნვა დარუბანდიდან ნიკოფსიამდე გადაჭიმული საქართველოს საზღვრებზე, ხალხის ბედნიერებასა და თავისუფლებაზე სიკვდილის წინაშე უძლური აღმოჩნდა. სასულიერო პოეზიაში გამოთქმული შეხედულება სიკვდილის გარდუვალობის შესახებ რუსთაველმა თავისებური გადამუშავების შემდეგ გადმოგვცა ავთანდილის ანდერძში:

---

23 ეკლესიასტე, გვ. 189.
24 ი. პ ე ტ რ ი წ ი, სათნოებათა კიბე, გვ. 200.
25 ჩვენი საუნჯე, I, თბილისი, 1960, გვ. 523.

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი:
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალგულოვანი:
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!"

მებრძოლი და მეგობრისათვის თავდადებული ავთანდილი აღწევს თავის საწადელს ამქვეყნად და იმქვეყნადაც განიმზადებს საუკუნო სასუფეველს. რუსთაველის გმირები ყოველგვარი მძიმე მდგომარეობიდან გამონახავენ ხოლმე გამოსავალს. სიცოცხლე სახელოვანი უნდა იყოს, სიკვდილისაკენ სწრაფვა ვაჟკაცობად არ მიიჩნევა. ავთანდილი არწმუნებს ტარიელს, რომ „სოფლიდან" პასიური განშორება უაზრობაა.

რუსთაველის პოემა მთლიანად სიცოცხლის ღირებულებათა დამტკიცებისადმია მიძღვნილი და მიწიერი სინამდვილის ფასეულობის დამკვიდრებას ცდილობს. რუსთაველი ცხოვრებისეულ ტენდენციებში ღრმა ორიენტირების უნარს ამჟღავნებს და თუ მისი გმირები ზოგჯერ სიკვდილის პასიურ ნატვრას გამოთქვამენ, ეს მხოლოდ დროებითი და წარმავალია, ბედის უკუღმართობით გამოწვეული, რასაც კეთილის შემოქმედი და ბოროტის არდამბადი ღმერთი ადამიანის სასიკეთოდ შეცვლის ადამიანისავე მცდელობის მიხედვით. იგი ყოველთვის ცხოვრების სიყვარულის, სიხარულისა და რწმენის სტიქიაშია, რადგანაც რუსთაველი შერიგებულია ცხოვრების წარმავლობას, სიკვდილის გარდუვალობას, სწამს, რომ „ერთი წავა და სხვა მოვა", რაშიაც ადამიანის არსებობის ჰარმონიას ხედავს. სწორედ ეს არის „ვეფხისტყაოსნის" გმირთა სულიერი წონასწორობის, ოპტიმიზმის საწყისი და დასაბამი. რუსთაველის გმირების ოპტიმისტური განწყობილება აქარწყლებს ყოველგვარ შიშსა და ეჭვს ადამიანის სიცოცხლის წარმავლობაზე. ამიტომაც ვერ სძლევს მათში ამქვეყნიური ცხოვრების ცვალებადობით გაწოწვეული სევდა ამქვეყნიური ცხოვრებით გამოწვეულ სიხარულს, ბედნიერებისა და სიკეთის შეგრძნებას.

ამგვარად, ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში შემუშავებული აზრი სოფლის ცვალებადობა-წარმავლობის შესახებ, რომელიც თავისთავად სათავეს, დასაბამს ბიბლიიდან იღებს, რუსთაველმა თავისებურად გადაამუშავა, რასაც გამოუნახა ჰუმანისტური საფუძველი და ცხოვრების აზრი ადამიანობაში, მცდელობაში, ბოროტის წინააღმდეგ კეთილისათვის ბრძოლაში დაინახა. რუსთაველის გმირები იბრძვიან არა მხოლოდ სულის ცხონებისათვის, როგორც ამას სასულიერო პოეზიის და, საერთოდ, სასულიერო მწერ-

ლობის, ნიმუშებში ვხედავთ, არამედ ამქვეყნიური ბედნიერებისათვის ბრძოლისაკენ არის მიმართული მათი მოქმედება, ისინი ყველაფერს თავიანთ ბედნიერ მომავალს სწირავენ. სწორედ ამას გულისხმობს ტარიელის სიტყვები: „სულთა ვყიდდი გულისათვის, კოშკი ამად გამებაზრა“ (529,1). უპირველეს საკითხად ტარიელი აყენებს ლტოლვას ამქვეყნიური ბედნიერებისაკენ („გულისათვის“), რაც თავისთავად მოწმობს რუსთაველის მისწრაფებას ღრმა ჰუმანური იდეებისაკენ. „ვეფხისტყაოსანში“ სოფლის წარმავლობითა და სიკვდილის გარდუვალობით გამოწვეულ სევდას სძლევს ადამიანური ბედნიერებისათვის ბრძოლა და ღრმა ოპტიმიზმი, რითაც რუსთაველი ემიჯნება სასულიერო პოეზიას და გვევლინება ჰუმანისტური იდეების მქადაგებლად.

II. „ცოდვა“ და „შენდობა“

ძველ ქართულ სასულიერო პოეზიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ცოდვისა და შენდობის საკითხი. როგორც ცნობილია, ქრისტიანული რელიგიის თვალსაზრისით, ცოდვა ორგვარია: 1. მემკვიდრეობითი ცოდვა — პირველცოდვა, რომელიც ადამ და ევასაგან იღებს დასაბამს, რომელიც ყოველ ადამიანს დაბადებისთანავე თან დაჰყვება, ყოველი ადამიანი დაბადებიდანვე ცოდვილია, რადგან ადამისა და ევას, რომლებიც არიან ადამიანთა მოდგმის არქეტიპები, პროტოტიპები, ადამიანურის პირველი მაგალითები, შეცოდება აბსოლუტურად ყველა ადამიანზე გადადის; 2. პირადი ცოდვა, რომელიც ადამიანის თავისუფალი ნებითაა გამოწვეული და ამის მიხედვით ან დასასჯელი, ან შესანდობელი, რაც დამოკიდებულია ცოდვის სიღრმესა და სიდიდეზე. ღმრთისმეტყველების მიხედვით, ცოდვა თვისობრივადაც ორგვარია: სულიერი ხასიათისა და გრძნობითი ხასიათისა. სულხან-საბა ორბელიანი ცოდვათა შემდეგ სახეობებს განასხვავებს: „ა) ცოდვა ბუნების გარეგანი — სოდომური და პირუტყვოანა; ბ) ცოდვა მომაკვდინებელი — ყოველივე დიდი ცოდვა; გ) ცოდვა შემთხვევით ანაზდეულ ქმნილი და არა ჩვეულებითი; დ) ცოდვა შესანდობელი — მცირე და არა მომაკვდინებელი; ე) ცოდვა ჩვეულებითი — შეჩვეული და მრავალგზის ნაქმარი; აგრეთვე ცოდვილი ეწოდება ცოდვის მოქმედს, ქრისტიანესა შემცოდესა“[26]. უშჯულო და ცოდვილი განსხვავებულია ს.-ს ორბე-

---

26 ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, II, თბილისი, 1966, გვ. 339.

ლიანის ლექსიკონში. უშჯულო ეწოდება „წარმართთა და ქრისტეს ურწმუნოთა, რომელთა არა იციან ცოდვა, თუ რაჲ არს"[27]. როგორც საბა აღნიშნავს, ცოდვილი ანუ ცოდვის მოქმედი ეწოდება „ქრისტიანესა შემცოდესა", ხოლო „წარმართთა და ქრისტეს ურწმუნოთა" არ იციან, თუ რა არის ცოდვა. ამის საფუძველზე „ვეფხისტყაოსნის" ცნებანი „ცოდვა" და „შეცოდება" ქრისტიანულნი არიან.

ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში ცოდვათა შორის ხარისხობრივ განსხვავებას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭებოდა. ყოველი ადამიანური ცოდვა, მისი სიმძიმის მიუხედავად, უნდა მიტევებოდა ადამიანს, თუკი მას მოინანიებდა. იოანე პეტრიწის აზრით, ამისათვის საუკეთესო საშუალება იყო „სოფლით გამოსლვა", ე. ი. ღვთისმსახურად კურთხევა. ცოდვათა მონანიების, მის ნაცვლად სასუფევლის მიღების მიზნით ტოვებს ადამიანი „სოფლის საქმეთ".

„სამთაგანი არს სოფლით გამოსლვა, ბრძენო:
ანუ ცოდვათა მოსაგებელის კრძალვით,
ანუ სურვილით სასუფეველის ღირსად,
ანუ უფროჲს საზომისა მოღებით,
რომელ არს ღმრთისა სიყუარული მაღალი"[28].

ცოდვა, სასულიერო პოეზიისა და „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, განიკითხება საიქიოში, „მას საუკუნოსა" ისჯება ცოდვილი. ცოდვა, რომელიც ადამიანის პირადი საქმიანობიდან და მოქმედებიდან გამომდინარეობს, შეიძლება ადვილად ან ძნელად მოინანიოს ადამიანმა, ყოველ შემთხვევაში პირადი ცოდვის მონანიება შეიძლება და ადამიანის წინაშე არ დგას პრობლემა მისი შეუძლებლობის შესახებ. რაც შეეხება პირველცოდვას, რომელიც მემკვიდრეობით გადმოეცა ადამიანთა მოდგმას, მხოლოდ შემსუბუქება შეიძლება მისი და არა მთლიანად მონანიება. ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიხედვით, არ არსებობს პირველცოდვისაგან თავისუფალი ადამიანი და არც შეიძლება მისგან განთავისუფლება. ადამთან, როგორც პირველ ადამიანთან, მთელი კაცობრიობაა დაკავშირებული, რომელიც წარმოადგენს განუყოფელ და ერთიან ორგანიზმს და ყოველ ცალკეულ ადამიანს აქვს წინა ცხოვრება თავის წინაპრებში და მომავალი — თავის შთამომავლებში. ამდენად

---

[27] ს.-ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, II, თბილისი, 1966, გვ. 339.
[28] ი. პეტრიწი, სათნოებათა კიბე. გვ. 170.

ნათელია, რომ ყველა ადამიანი უკვე არსებობდა ადამში თავისი ზოგადადამიანური ფორმით. ადამიანი თავისი ბუნებით მონაწილეობდა ადამის შეცოდებაში. პირველ ადამიანში ცოდვის გზით დასაბამი მიიღო სიკვდილმა და ამ საწყისით დამკვიდრდა იგი და გადავიდა ადამის შთამომავლებში, ადამიანებში. ამიტომაც არ არსებობს პირველცოდვისაგან თავისუფალი ადამიანი. ხოლო ვინაიდან შემოქმედმა ღმერთმა არ მიუტევა ეს შეცოდება ადამს, ადამიანთა არქეტიპს, პროტოტიპს, პირველსახეს, „სახეს ყოვლისა ტანისას", ცხადია, მისი ცოდვა გადაეცა მის შთამომავლებსაც, ადამიანებსაც, და ღმერთმა არც ადამის შთამომავლებს არ მიუტევა ეს ცოდვა, პირველცოდვა, რომლის ნაყოფსაც წარმოადგენენ ისინი. შემოქმედ ღმერთს შეუძლია ადამიანთა მოდგმას მხოლოდ შეუმსუბუქოს ცოდვა, რომელიც საიქიოს თან უნდა გაჰყვეს, რუსთაველის სიტყვით, „მუნ თანა წასატანი" ცოდვა. ამიტომაც მოევლინა ქვეყანას კაცად ქრისტე, ძე-ღმერთი, რათა შეუმსუბუქოს ადამიანთა მოდგმას პირველცოდვის სიმძიმე თავისი განხორციელებით. ეს იცოდა საქართველოს დიდებულმა მეფემ დავით აღმაშენებელმა, როდესაც ღმერთს ცოდვათა მიტევებას ევედრებოდა; მას ცოდვად მიაჩნდა არა მხოლოდ საქმით ჩადენილი სიბოროტე, არამედ გონებაში გავლებული რაიმე უკეთური აზრიც კი. მეფე-პოეტს სწამდა, რომ ყოვლისშემძლე ღმერთი იხსნის მას ამქვეყნიური ცოდვებისაგან. „დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანში" საუბარია არა მხოლოდ ერთ რომელიმე კონკრეტულ ცოდვაზე, არამედ ცოდვათა რიგზე, რომელიც ჩადენილია ადამიანთა მოდგმის დასაბამიდან"[29]. დავითმა თავი ცოდვილთა შორის უცოდვილესად წარმოგვიდგინა. მისი თვითბრალდება — „მსგავსებისაგან დავაკლდი და დავჰბადე ბოროტი" — შეიცავს პირველცოდვის ქრისტიანულ გაგებას. „მსგავსებას დააკლდა" ადამი მაშინ, როდესაც გველისაგან შეცდენილმა ევამ ადამიც შეაცდინა, იგემა ნაყოფი ცხოვრების ხისა და „დაჰბადა ბოროტი", ჩადენინა ცოდვა. ადამიანს თავისი ცხოვრების მანძილზე ეძლევა როგორც შეცდომათა დაშვების, ასევე მისი გამოსწორების შესაძლებლობა. მაგრამ პირველცოდვის მონანიება და ამ შეცდომის გამოსწორება შეუძლებელია, რადგან პირველცოდვა უკვე ჩადე-

---

29 ლ. გ რ ი გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის" კონცეფციისათვის, ქართული ლიტერატურის საკითხები, ახალგაზრდა მეც. მუშაკთა და ასპირანტთა ნაშრომების კრებული, II, თბილისი, „მეცნიერება", 1971, გვ. 49.

ნილია და იგი მრავლდება ადამიანთა მოდგმასთან ერთად, შესაძლებელი მხოლოდ შემსუბუქებაა მისი.

„ფსალმუნნში“ ვკითხულობთ: „ნეტარ არიან, რომელთა მიუტევნენ უშჯულოებანი და რომელთა დაეფარნენ ცოდვანი. ნეტარ არს კაცი, რომელსა არა შეურაცხა უფალმან ცოდვაჲ, და არცა არს სულსა მისსა ზაკვაჲ“ (31, 1—2)[30]. „ცოდვაჲ თუ ვიხილო გულსა ჩემსა, ნუ ისმენ უფალი“ (65, 18)[31]. „ცოდვაჲ მოვიძულე და მოვიძაგე, ხოლო შჯული შენი შევიყუარე“ (118)[32]. „ჰეშმარიტად და სიმართლით მოავლინე ესე ყოველი ჩუენ ზედა ცოდვათა ჩუენთათჳს. რამეთუ შეგცოდეთ ჩუენ და უსჯულო ვიქმნენით განდგომად შენგან, და ვცოდეთ ყოვლითურთ და მცნებათა შენთაჲ არა ვისმინეთ, არცა დავიმარხეთ“ (გალობა 7)[33].

მოყვანილ ნაწყვეტებში საუბარია ადამიანურ ცოდვაზე, აქ პირველცოდვა არ იგულისხმება. იოანე ათონელის საგალობელშიც ადამიანურ ცოდვათა მიტევებას ეეედრება ქრისტეს ავტორი: „მოტევება ცოდვათა ჩუენთა ურიცხუთაჲ ქრისტეს მიერ გკთხოვე, მამაო იოანე, რომელნი ვაქებთ დღესასწაულსა შენსა“[34]. „ვინაჲთგან ქრისტე გაქუს მაქებელად შენდა, ღმერთშემოსილო, და აღსარებულ ხარ წინაშე მამისა ზეცათაჲსა, უძლურ არს შენ წინაშე შემსხმელთა მეტყუელებაჲ, არამედ შეიწირე წადიერებაჲ ჩემი და მითხოვე მისგან მოტევებაჲ ცოდვათაჲ“[35].

„ეკლესიასტეში“ ნათქვამია: „კაცი არა არს მართალ ქუეყანასა ზედა, რომელმანცა კეთილი ქმნა და არა ცოდა“ (7,21)[36].

ადამიანურ ცოდვათა განმათავისუფლებლად, მიმტევებლად „ძლისპირნში“ მიჩნეულია ძე-ღმერთი, იესო ქრისტე: „ნათლითა შენითა საღმრთოჲთა, დიდებულო, სულნი რომელთა აღიმსთუეს შენდამი სიყუარულით, განანათლენ რაჲთა გიცნან შენ ღმერთი მხოლოჲ, განმათავისუფლებელი ცოდვათა მათთაგან“[37]. მა-

---

30 ფსალმუნნი, მ. შანიძის რედ., თბილისი, 1960, გვ. 72—73.

31 იქვე, გვ. 165.

32 იქვე, გვ. 350—351.

33 იქვე, გვ. 434.

34 ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი კრებული აღაპებითურთ, საეკლესიო მუზეუმის გამოც., ალ. ცაგარელის რედ., ტფილისი, 1901, გვ. 198.

35 იქვე. გვ. 200.

36 ეკლესიასტე, გვ. 211.

37 ძლისპირნი, ე. მეტრეველის რედ., თბილისი, 1971, გვ. 22.

რიამ ღვთისმშობელი ქრისტეს შობის შემდეგ მარადიული ქალწულობით ევას მიერ ჩადენილ ცოდვას ამსუბუქებს: „შენ, რომელმან მოსპე ყუედრებაჲ დედისაჲ მის ევაჲსი, ქალწულო, და აჰყოცე ჴელით-წერილი იგი ცოდვისაჲ მუცლად-ღებითა კრავისა მის ღმრთისაჲთა, რომელი დაიკლა ჩუენთჳს ჯუარსა ზედა"[38]. „შეცვალნა წესნი ბუნებათანი შობამან შენმან, ქალწულო უბიწოო, რამეთუ ღმერთი ბუნებათაჲ შენგან გუეუწყა, და ბუნებაჲ ჩუენი მან განმიახლა დაძუელებული ცოდვითა, ამისთვის მარადის გადიდებთ შენ"[39]. ცოდვის სიღრმიდან და უფსკრულიდან ამოყვანას ევედრებიან ქრისტე ღმერთს ჰიმნოგრაფები. ქრისტე, თავად უცოდველი და მაცხოვარი, ამ სოფლის ცოდვათა მიმტევებელია: „ესე არს კრავი ღმრთისაჲ უცოდველი, აღმხუმელი ცოდვათა სოფლისათა, რომელმან განწმინდა წყალნი და განანათლნა კაცნი"[40].

ცოდვათა შემსუბუქებას ევედრება შემოქმედ ღმერთს რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანში" ხშირად არის საუბარი ცოდვასა და სინანულზე, ცოდვის ჩადენასა და მის შენდობაზე. სახარების ცნობილი გამოთქმა — „დაღათუ შვიდგზის დღესა შინა შეგცოდოს შენ ძმამან შენმან... მიუტევე მას" (მათე, XVIII, 22; ლუკა, XVII, 4) — მეორდება პოემაში: „შეცოდება შვიდ-გზის თქმულა შესანდობლად" (243,4).

ცხადია, რუსთაველი ძალიან კარგად იცნობდა პირველცოდვის არსსა და მნიშვნელობას, მაგრამ, როგორც ქრისტიანული მოძღვრების სხვა დოგმები, მაგალითად, მაცხოვრობის შესახებ, ასევე ადამიანის თანდაყოლილი ცოდვისა და ამქვეყნიური არარაობის განცდა რუსთაველის გმირებისათვის დაძლეული პრობლემაა. იგი სხვაგვარად უყურებს იმ პრობლემებს, რომელიც ქრისტიანობამ წამოაყენა[41]. „ვეფხისტყაოსანში" არსად არ ჩანს მინიშნება ადამიანის თანდაყოლილ ცოდვაზე. რუსთაველი მხოლოდ ადამიანის მიერ მის სიცოცხლეში ჩადენილ ცოდვებზე მსჯელობს, ადამიანურ ცოდვებს ეხება მხოლოდ და მის სამ სახეობას გამოჰყოფს.

---

38 იქვე, გვ. 47.

39 იქვე, გვ. 57.

40 S—425, გვ. 146 (V—73), სტრ. 17—18.

41 იხ. მ. გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ე, რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები; თბილისი, 1960; გ. ომეადაშვილი, ვეფხისტყაოსანი და ქართული კულტურა, თბილისი, 1968; ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი — დავით გურამიშვილი. თბილისი, 1974.

რუსთაველის აზრით, ყველაზე დიდ ცოდვად ითვლება ღვთაებისადმი, უზენაესი არსებისადმი, შეცოდება:

„იტყვის: ღმერთო, რა შეგცოდე შენ, უფალსა, არსთა მხედსა,
რად გამყარე მოყვარეთა, რად შემასწარ ამა ბედსა?" (851,1—2).
„...ღმერთო, რა შეგცოდე, ეგზომ დიდი რა გაწყინე?
რად შემასწარ ამა ბედსა, რა სასჯელი მომივლინე!" (855,1—2).

ე. ი. ავთანდილის სიტყვებიდან ჩანს, რომ რაღაც ძალიან დიდი ცოდვა ადევს მას, რადგან ღმერთმა ასე დასაჯა, ასეთი მწარე ბედი არგუნა და საყვარელ არსებასა და მეგობარს ჩამოაშორა. ამის გამო მიმართავს ღმერთს, უფალს, არსთა მხედს ავთანდილი, მან არ იცის, რა ცოდვა ჩაუდენია და რისთვის სჯის მას ასე სასტიკად და მკაცრად უფალი ღმერთი. მართალია, მან არ იცის, თუ რა ცოდვა აქვს ჩადენილი, მაგრამ შეგნებული აქვს საკუთარი შეცოდება, რისთვისაც ისჯება ღმერთისაგან. ავთანდილის სიტყვები მოწმობენ საკუთარი ცოდვის შეგნებას.

ცოდვის მეორე სახეობა, რუსთაველის შეხედულებით, არის ხელმწიფისადმი, ღვთის სწორი არსებისადმი, შეცოდება. ავთანდილი ასმათთან საუბრისას ამბობს:

„პატრონი ჩემი გამზრდელი, ღმრთისაგან დიდად ცხოველი,
მშობლური, ტკბილი, მოწყალე, ცა წყალობისა მთოველი,
მას ვუორგულე, წამოვე, მართ დავივიწყე ყოველი,
მისი შემცოდე ღმრთისაგან კარგსა აღარას მოველი" (847).

ცოდვის მესამე სახეობაა ადამიანის შეცოდება ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანისადმი, იქნება იგი დიდებული თუ მონა.

ხვარაზმშას შვილის ნესტანის საქმროდ მოწვევის შედეგად განრისხებულ ინდოელ მზეთუნახავს ტარიელი ეუბნება:

„...პასუხს ვერას გკადრებ, თუ არა ვსცნობ მე მართალსა:
რა შეგცოდე, რა მიქნია უცნობოსა, ფერ-ნამკრთალსა?" (517, 1—2).

მაგრამ იგივე ტარიელი, როდესაც ავთანდილს თავის თავგადასავალს უამბობს, ამჟღავნებს საკუთარი ცოდვის შეგნებას და ამბობს: „სულთა ვყიდდი გულისათვის, კოშკი ამად გამებაზრა" (528,1). მას შეგნებული აქვს, რომ ნესტანის დაკარგვით უმაგალითო ჭირში ჩავარდნა მის მიერ ჩადენილი ცოდვის პასუხია. ცოდვად ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ტარიელს ხვარაზმშას შვილის მოკვლა და ფარსადან მეფის წინაშე ამბოხის მოწყობა მიაჩნდეს.

ავთანდილის გაპარვით შეწუხებული არაბები ერთმანეთს ეკითხებიან (817,3):

„რა ვაწყინეთ, რა შევსცოდეთ, რად დაგვყარნა, რად გაგვწირნა!"

მათ არ იციან, რაში მდგომარეობს მათი შეცოდება ავთანდილისადმი, რისთვისაც ამ უკანასკნელმა დატოვა არაბეთი. არაბ დიდებულთ ავთანდილის გაპარვა თავიანთი ცოდვის პასუხად მიაჩნდათ.

უცხო მოყმის საძებრად მიმავალი ავთანდილი თავის ყმებს წერილს უტოვებს, რომელშიც ნათქვამია:

„მე შერმადინ დამიგდია, ჩემად კერძად პატრონობდეს,
სიკვდილსა და სიცოცხლესა სადამდისცა ჩემსა სცნობდეს,
ყოვლთა მზეებრ მოგეფინოს, ვარდს არ ზრვიდეს, არ აჭნობდეს,
შემცოდესა ყველაკასა ვითა ცვილსა დაადნობდეს" (166).

ადამიანური ცოდვა, მისი სიმძიმის მიუხედავად, შეიძლება მიეტეოს ცოდვილს, ადამიანისაგან გამომდინარე ცოდვას ღმერთი შეუნდობს. ეს არის ხაზგასმული ტარიელის სიტყვებში, რომელიც ინდოეთის მეფეს ფარსადანს ჰკადრა და რომლითაც ხატაელ რამაზს უშუამდგომლა:

„...ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა,
უყავით თქვენცა წყალობა მას ღონე-გაცუდებულსა" (463, 1—2).

ავთანდილი წინააღმდეგობას უწევს ტარიელს იმის თაობაზე, რომ ტარიელი როსტევან მეფის წინაშე შუამდგომლობას აპირებს თინათინისა და ავთანდილის საქმის მოსაგვარებლად და თავს იმით იმართლებს, რომ ეს ამბავი თინათინს გააბრაზებს, საყვარლის ნახვაც დაუძვირდება და „შენდობასა ხორციელი კაცი ვერა დამიურვებსო" (1472,4), ე. ი. ხორციელთაგან ვერავინ ვერ მოუგვარებს სატრფოსაგან შენდობის საქმეს, თუკი მას აწყენინებს, შესცოდავს.

ავთანდილი თავის ანდერძში როსტევან მეფეს ევედრება შენდობას და მოწყალებას სთხოვს იმ ცოდვათა თუ დანაშაულთა ნაცვლად, რომელნიც მეფის წინაშე ჩაუდენია: „შემინდევ და წამატანე მოწყალება ღმრთაებრისად" (779,4). მან შეცვალა მეფის მცნება, დაარღვია იგი, მეგობრისათვის გადასდო თავი და ტარიელის საშველად გაეშურა. ეს მიაჩნია არაბ მოყმეს მეფისადმი შეცოდებად.

„რაზომცა სწყრები, შემინდევ შეცვლა თქვენისა მცნებისა.
ძალი არ მქონდა ტყვე-ქმნილსა მე მაგისისა თნებისა;
აწ წასლვა იყო წამალი ჩემთა სახმილთა გზნებისა.
სადა გინდ ვიყო, რა მგამა, ყოფამცა მქონდა ნებისა" (785).

შეიძლება დავასკვნათ, რომ ცოდვა, რომელსაც ჩაიდენს ადამიანი თავის სიცოცხლეში, მისი სიმძიმის მიხედვით, მიეტევება ან ადვილად, ან ძნელად; ყოველ შემთხვევაში, ადამიანური ცოდვის მონანიება და შენდობა შესაძლებელია, იგი ღმერთისა და ღვთის სწორი არსების, მეფის ხელშია, მათ შეუძლიათ შენდობა და შეწყალება ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანების ცოდვებისა. მაგრამ სააქაოს შენდობილი ცოდვა საიქიოში მაინც განიკითხვის, რის შემდეგაც მოხვდება ადამიანის სული სამოთხეში ან ჯოჯოხეთში. ამიტომაც არის ყოველი ცოდვა „მუნ თანა წასატანი", რომელსაც ღმერთი თუ მეფე ან ეკლესიის მსახური მხოლოდ უმსუბუქებს ადამიანს.

ამგვარად, „ვეფხისტყაოსნის" გმირების მიერ ჩადენილი ცოდვა არის ადამიანური ცოდვა, მისი პირადი ცოდვა, რომელიც მისივე მოქმედების შედეგს წარმოადგენს და რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელი იყო და მონანიებაც შესაძლებელია. ძველი ქართული სასულიერო პოეზიისაგან განსხვავებით რუსთაველის პოემა დუმს მემკვიდრეობითი ცოდვის — პირველცოდვის, ადამიანის თანდაყოლილი ცოდვის შესახებ. რუსთაველისათვის პირველცოდვის განცდა დაძლეული პრობლემაა[12], ხოლო სასულიერო პოეზიაში, ისევე როგორც მთელ სასულიერო მწერლობაში, პირველცოდვა არის ადამიანის თანდაყოლილი, მემკვიდრეობითი ცოდვა და იგი თავისი ზოგადი არსით მრავლდება ადამიანთა მოდგმის გამრავლებასთან ერთად, პირველცოდვისაგან თავისუფალი ადამიანი არ არსებობს. რუსთაველის გმირები თავისუფალნი არიან ქრისტიანული სარწმუნოების ამ ერთი ძირითადი დოგმისაგან და ყოველი მოქმედების საწყისად ადამიანური გრძნობა და განცდა მიაჩნიათ, რითაც რუსთაველი ემიჯნება ძველ სასულიერო პოეზიას და ახალი ჰუმანისტური იდეების მქადაგებლად გვევლინება.

---

12 შდრ. ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი, თბილისი, 1974, გვ. 22.